

EthicCapital-ის ცნობის ფურცელი

საკრედიტო კავშირი

EthicCapital ცნობის ფურცელი

N1

აპრილი 2013

საკრედიტო კავშირის გაძლიერება - 2013 წლის მთავარი ამოცანა

ახალი სამუშაო წელი EthicCapital-მა ახალი შემაღლებით დაიწყო. განვლილი პერიოდის შეფასებამ და არსებულმა რეალობამ გამოკვეთა აუცილებლობები, რომელთა გათვალისწინებაც საკრედიტო კავშირმა წარმატებული ფუნქციონირებისთვის უნდა შეძლოს.

EthicCapital-ის საკრედიტო პორტფელის უცხო კაპიტალის ხარჯზე მნიშვნელოვანმა ზრდამ, ჩვენი საკუთარი კაპიტალის წილი უკვე შეამცირა. თუ წევრების ანაზრები 2013 წლისთვის არ გაიზრდება, პარტნიორებთან მოძიებული დამატებითი დაფინანსება საკუთარ კაპიტალს, მასთან მიმართებაში, კიდევ უფრო შეამცირებს, რაც საბოლოოდ საკრედიტო საქმიანობის შეზღუდვას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, საკრედიტო კავშირის ძირითად მიზანს 2013 წლისთვის საკუთარი კაპიტალის გაზრდა წარმოადგენს.

მიზნის მიღწევას EthicCapital-ი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამუშაოების გაძლიერებით გეგმავს. ამ მიმართულებით უკვე გაწეული საქმიანობის შედეგს ჩვენი ახალი ფლაერი წარმოადგენს, რომელიც ლაკონურად აღწერს EthicCapital-ის საქმიანობასა და მუშაობის პრინციპებს.

(იხ. ბმული: http://www.ethiccapital.eu/pdf/ge/sesxis_broshura.pdf)

The image shows a brochure for EthicCapital. At the top, it says 'EthicCapital საკრედიტო კავშირი'. Below that, a purple bar contains the text 'იმედიური გაქვირვალუ, საზოგადოებრივი'. The main body of the brochure features four photographs: two cows in a field, a green landscape with hills, a close-up of yellow flowers, and a group of people sitting around a table. At the bottom, there is a quote in Georgian: 'იაფი კრედიტი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისთვის'.

EthicCapital-ის შიდა სამზარეულოდან

EthicCapital-ი ახალბედა ორგანიზაციაა, რომელიც მუდმივად ისწრაფვის განვითარებისკენ.

სამუშაო პროცესების დახვეწის და მათი ეფექტურობის გაზრდის მიზნით მუშავდება იმგვარი კონცეფციები, რომლებსაც კონკრეტული სამუშაოებისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელოს დანიშნულება ექნებათ.

საკრედიტო კავშირისთვის მისი კადრები მნიშვნელოვანი ფასეულობაა. მაქსიმალურად ჰორიზონტალური იერარქიის უზრუნველყოფისთვის გამოიყო თანამშრომელთა წარმომადგენელი, რომლის მისიასაც პერსონალის ინტერესებისა და პრობლემების ხელმძღვანელობასთან მიტანა და აქტუალური საკითხების მათი გათვალისწინებით გადაწყვეტა წარმოადგენს.

საკრედიტო კავშირ **EthicCapital**-ის თანამშრომელთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ, ერთობლივად გაიზარა მისი საქმიანობის განმსაზღვრელი ღირებულებები, მიდგომები და წერილობითი სახე მისცა, იმისთვის, რომ მასთან დაკავშირებულ ადამიანებს, პოტენციურ, თუ სახეზე მყოფ წევრებსა და პარტნიორებს გაუადვილოს საკრედიტო კავშირთან თანამშრომლობა.

(იხ. ბმული: <http://www.ethiccapital.eu/pdf/ge/kredo.pdf>)

სიახლეები

პარტნიორები

EthicCapital-ის საკრედიტო საქმიანობა პარტნიორთა მხრიდან გამოყოფილ ფინანსურ სახსრებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის პარტნიორებზე. თავისუფალი სათემო ბანკის ფონდიდან (Stiftung der Freie Gemeinschaftsbank) შეღავათიანი სესხის სახით 10 000 შვეიცარული ფრანკი მივიღეთ. წლის განმავლობაში სასესხო თანხა კიდევ გაიზარდება.

წევრები

საკრედიტო კავშირის წევრთა რაოდენობა 91-მდე გაიზარდა. ჩვენ 12 ახალი წევრი გვყავს!

„**EthicCapital**-ში მუშაობა მასთან იდეურ და ღირებულებით თანხვედრას გულისხმობს. ღია და გულწრფელი, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული ურთიერთობებით ვახერხებთ, თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები, წარმატებით გადავჭრათ პრობლემატური საკითხები, ჩამოვაცალიბოთ დამსაქმებელისა და დასაქმებულისთვის თანაბრად სასურველი, ეფექტური მუშაობისთვის ოპტიმალური გარემო.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია გვენდობოდნენ არამხოლოდ საკრედიტო კავშირის წევრები, არამედ პარტნიორები. გამჭვირვალე საქმიანობა, თვითკონტროლი და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი ჩვენი ურთიერთობის უმთავრესი შუამავალია.

ამონარიდი საკრედიტო კავშირის “კრედო”-დან

საკრედიტო საქმიანობა

წლის დასაწყისიდან საკრედიტო კავშირმა 6 სესხი, ჯამური თანხით - სულ 16.200 ლარი გასცა:

- ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობა — 2 სესხი
- სწავლის საფასურის დაფარავა — 2 სესხი
- რეგიონალური განვითარება — 1 სესხი
- სოციალური საწარმო უნარშეზღუდულთათვის — 1 სესხი



წლიური ანგარიში

EthicCapital-მა აუდიტორული მომსახურებით ისარგებლა. შ.პ.ს “რეალ-აუდიტ”-მა ფინანსური შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აწარმოა.

აუდიტორული დასკვნის საფუძველზე ჩვენს მიერ შედგა „წლიური ანგარიში“. მასში თავმოყრილია **EthicCapital**-ისთვის მნიშვნელოვანი ციფრები და ფაქტები, რომლებიც ფართო საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, წარმოდგენა შეიქმნას ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

(იხ. ბმული: <http://ethiccapital.eu/pdf/ge/jahresbericht%20EC%202012%20ge.pdf>)

კონტაქტი:

ვაჟა-ფშაველა, VII კვარტალი, XVII კორპუსი, II სადარბაზო, I სართული
0183 თბილისი

საქართველო

ტელ: (+995) 32 2 30 43 69

info@ethiccapital.eu

www.ethiccapital.eu

ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენი საქმიანობის მთავარ მამოძრავებელს ადამიანები წარმოადგენენ. ადამიანები, რომელთაც ვეხმარებით მათი ღირებული იდეების განხორციელებაში და ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვეხმარებიან— ხელი შევუწყობთ ფულის, როგორც სახმარი ღირებულების გაცნობიერებულ, შინაარსიან გამოყენებას.

ამგვარ სისტემაში სოლიდარობის როლი განმსაზღვრელია. საკრედიტო კავშირის ჯანსაღი განვითარებისთვის კიდევ მეტი ადამიანის თანადგომაა საჭირო.

გვიშუამდგომლეთ მსგავსი ღირებულებების მატარებელ ადამიანებთან! მათი საკრედიტო კავშირში გაწევრიანება **EthicCapital**-ს გააძლიერებს.

გვანდეთ თქვენი თუნდაც მცირედი დანაზოგი ანაზრის სახით, მიიღეთ მასზე სიმბოლური 1-2% წლიური სარგებელი, აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ ფულზე და მიეცით სხვებს შესაძლებლობა თქვენთან ერთად აკეთონ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმე!